ვებგვერდი, 22/09/2014
სარეგისტრაციო კოდი
040030000.10.003.018179

საქართველოს მთავრობის
დადგენილება №543
2014 წლის 11 სექტემბერი ქ.თბილისი

სსიპ– ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო გრანტის გამცემად განსაზღვრის თაობაზე

მუხლი 1

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 5^1 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) განისაზღვროს სამეცნიერო გრანტის გამცემად.

2. ცენტრის მიერ სამეცნიერო გრანტის გაცემის წესი დამტკიცდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი *ირაკლი ღარიბაშვილი*